ქ. თბილისი

ი. ჭავჭავაძის გამზირი №29-31-33-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე გაზგამანაწილებელი კარადის გაზმომარაგების ქსელში ჩართვის უსაფრთხოების

ექსპერტიზა

ქ. თბილისი 2019წ.

2018 წლის 18 მაისს ქ. ტბილისის არხიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება №3969031,ჭავჭავაძის გამზირი 29-31-33 შპს"მოყვასი 2012"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე,გაზის წნევის მარეგულირებელი კვანძის პირველი კლასის სარეკუნსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესახებ.იხ.ფურცელი1,2,3,4.

2018 წლის 12 დეკემბერს შპს "ყაზტრანგაზის" მიერ ,შეთანხმებული პროექტის მიხედვით ფურცელი 1,2,3,4 განხორციელდა პირველი რიგის სამუშაოები,მოხდა გაზგამანაწილებელი პუნქტის,კარადის,საშუალო და დაბალი წნევის მილების ჩართვა.იხილეთ სურათები;1,2,3,4.

დარჩა ჩართვა პუნქტან შეერტებული მილების, რომლებიც რ/ბ-ის კედელზე არის დამაგრებული,ძირითად ქსელში.იხილეთ სურათები;5,6,7. შეჭრის ადგილი დაშორებულია არსებული საცხოვრებელი სახლიდან 12 მეტრით,ხოლო მშნებარედან 32 მ-ით, რაც სრულიად საკმარისი მოცილებაა წნევის დაგდების ხერხით მოქმედ გაზსადენებთან შეჭრის, რომლის დროსაც გაზის განაკარგი ძალიან მცირეა,ხოლო მშრალი შეჭრის დროს თითქმის ნულის ტოლია.

შეჭრის სამუშაოები უნდა შესრულდეს შპს "ყაზტრანგაზი"-ის

საექსპერტო დასკვნა

ჭავჭავაძის გამზირი № 29-31-33-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე გაზგამანაწილებელი კარადის მოქმედ ქსელში ჩართვა, რომელსაც შეასრულებს შპს ,,ყაზტრანსგაზ თბილისი"-ს ორგანიზაცია, არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს მშენებარე საცხოვრებელი სახლისა და მიმდებარე შენობა ნაგებობებისათვის.

შეჭრა არსებულ საშუალო და დაბალ ქსელებში განხორციელდეს 2019 წლის აპრილის თვეში, როდესაც გამორთულია გათბობა და გაზის მოხმარება მინიმალურია.

ზემო აღნიშნული სამუშაოები აისახოს მშენებლობის კალენდარულ გეგმაში.

დამოუკიდებელი ექსპერტი: /დ. ჩახტაური/

22,02,2019

1.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3969031

გაცემის თარიღი: 18/05/2018 გაცნობის თარიღი: 18/05/2018

განცხადების ნომერი: AR1592199

შემოსვლის თარიღი: 12/04/2018

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.14.004.023
- მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29-31-33 , (ნაკვეთი 04/023)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1243.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს „მოყვასი - 2012" (404927656)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- თამაზ ღვანიძე პ/ნ 1020004932
- მისამართი: დიღმის მასივი. III კვარტ. #33 კორპ. ბინა #3

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაზის წნევის მარეგულირებელი კვანძის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ AR1592199 განცხადებით ელექტრონულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი #29-31-33, შპს „მოყვასი - 2012“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გაზის წნევის მარეგულირებელი კვანძის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახური. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „მოყვასი - 2012“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016365933 20.06.2016 წ. საკადასტრო კოდი N 01.14.14.004.023, ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათი, ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი #29-31-33, შპს „მოყვასი - 2012“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გაზის წნევის მარეგულირებელი კვანძის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- აღნიშნული ეცნობოს დაინტერესებულ პირებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

PDF ფორმატში
ჩამოტვირთვა



შენიშვნები:

1. პროექტი შედგენილია შ.პ.ს. „ჟაზტრანსგაზ-თბილისზე" შემოსული 19.03.2018წ. №02-06865-18 განცხადების საფუძველზე.
2. გაზის ხელსაწყოების დაყენება და გაზსადენის მონტაჟი შესრულდეს СНиП 2.04.08-87* და გაზის მეურნეობაში არსებული უსაფრთხოების წესების თანახმად.
3. ღიად გამავალი გაზსადენი შეიღებოს ზეთის საღებავით 2-ფენად.
4. გაზსადენის ასვლები და დაშვებები დაზუსტდეს ადგილზე, მონტაჟის დროს.
5. პროექტიდან ნებისმიერი გადახვევა შეთანხმებული იქნას შ.პ.ს. „ჟაზტრანსგაზ-თბილისი"-ს საპროექტო განყოფილებასთან მონტაჟამდე.
6. წინამდებარე პროექტი წარმოადგენს წინასაპროექტო დოკუმენტაციას, რომელიც შესაძლოა დაკორექტირდეს მერიის სანებართვო სამსახურების მიერ წარმოდგენილი მითითებების ან შენიშვნების საფუძველზე.

ჰორიზონტალი აღნიშვნები

- არსებული შიდაეზოს ს/წ გაზსადენი
- საპროექტო შიდაეზოს მიერთებული ს/წ გაზსადენი
- საპროექტო შიდაეზოს მიერთებული დ/წ გაზსადენი
- სასადენი
- დემონტაჟს დაქვემდებარებული გაზსადენი

ჯვანძი №1 მ 1:50



№	კოდი	სახ.სტანდარტი ან შიფრი	დასახელება	რაოდ.	მასა/კგ	განზ.
8			გაზსადენის დემონტაჟი d=100		10.0	გრძ/მ
7			გაზსადენის დემონტაჟი d=200		6.0	გრძ/მ
6			მიერთება არს. დ/წ მიწისზედა ფოლ. გაზსადენთან d=200xd=200-ით.		1	ადგ.
5			მიერთება არს. ს/წ მიწისზედა ფოლ. გაზსადენთან d=70xd=70-ით.		1	ადგ.
4			მიერთება არს. ს/წ მიწისზედა ფოლ. გაზსადენთან d=100xd=100-ით.		1	ადგ.
3			მიწისზედა გაზსადენის და საყრდენების შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ფენად		28.6	მ²
2			გაზსადენის გაყვანა და გამოდგა		53.0	გრძ/მ
1			მიწის ამოღება და საყრდენების დაბეტონება მიწის ადგილზე მოსწორებით		0.25	მ³
№			სამუშაოთა დასახელება		გაზ.	რაოდენობა
			სამშენებლო მოცულობა			
12		----	გაზის წნევის მარეგულირებელი კარადა РДУК-200 კომპლექტში, ყუთით	1	----	ც
11		Т.К. 5.905-8 ვარ-4	ჯრონშტეინი 45x45x5	1	2.5	ც
10	21721	ГОСТ 10704-91 В20 ГОСТ 10705-80	მილი საყრდენისთვის d=200 h=1,0 L= 1.5	2	47.28	ც
9		ГОСТ 17378-83	გადამყვანი ფოლადი-ფოლადზე d=200Xd=100	1	4.54	ც
8		12820-80	მილტუჩი d=70	2	1.83	ც
7		----	მილტუჩა ბურთულიანი ოჯანი d=70	1	15.2	ც
6	00451	ГОСТ 17375-83	მუხლი d=70 90° (ფოლადის)	5	1.03	ც
5	00024	ГОСТ 17375-83	მუხლი d=100 90° (ფოლადის)	5	2.42	ც
4	00453	ГОСТ 17375-83	მუხლი d=200 90° (ფოლადის)	4	17.24	ც
3	20205	ГОСТ 10704-91 В20 ГОСТ 10705-80	სწორწაკერიანი ელ. შეწადული ფოლადის მილი d=70	13.0	5.40	გ/მ
2	20112	ГОСТ 10704-91 В20 ГОСТ 10705-80	სწორწაკერიანი ელ. შეწადული ფოლადის მილი d=100	20.0	10.85	გ/მ
1	21721	ГОСТ 10704-91 В20 ГОСТ 10705-80	სწორწაკერიანი ელ. შეწადული ფოლადის მილი d=200	20.0	31.52	გ/მ

სპეციფიკაცია

დაპროექტება	თ. ბულიდანი		ჟაზტრანსგაზ თბილისი KazTransGas Tbilisi	დაკვეთა № 02-06865-18
შემოწმება	ვ. ცურაბაშვილი			თარიღი 02.04.2018
			ობიექტი: გაზგაყვანის ბაზის. №29-31-33(ნაკვ. №04/023), საპრ. კოდი №01.14.14.004.023. შპს "ციფრული - 2012"	
			შენიშვნები: პერსპექტივა აქსონომეტრია, გენერალური გეგმა მ 1:200; ჯვარი №1 მ 1:50; სპეციფიკაცია	ფურცელი 1 / ფურცლები 1



25.04.18.pdf - Adobe Acrobat Reader DC
Edit View Window Help
Tools
1 / 1
125%
4.
ბ.1:200
485.47
485.19
482.28
1 l.a.
485.49
485.66
485.38
482.27
485.41
485.43
482.25
485.45
485.66
РДУК-200
485.49
482.25
485.43
485.67
485.65
482.27
485.35
10
11
d=70
d=100 h=1.0
d=200 h=1.0
d=70xd=70-
h=1.0
mSenebare
korpusi
+482.26
+482.28
+482.27
+482.27
482.28
d=100xd=100-
d=100
d=200
d=200xd=200-
16.54 x 11.69 in
EN

ნახაზი-1


Lyhuan - 2


ცენტრალიზებული-მცირისი
ჯანდაცვის ულტრათხელი
ხელსაწ. №
ცენტრალიზებული
ცენტრალიზებული
ცენტრალიზებული


byhsan - 4.


Буфет
Буфет
Буфет-5



Вибоїна - 7



Вибоїна - 6

ნომერი: 12-01173592512-60
თარიღი: 25.12.2017 17:12
ვადა: 24.01.2018

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას 7
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 10-01173592163 განცხადების თარიღი: 25.12.2017
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

გზავნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე 3/2594-14ჩადაწყვეტილების აღსრულებასა და ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრების, დიმიტრი მაისურაძის და სხვა საჩივარზე ბრძ 33

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაგზავნა ფოსტით: არა

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 12-01173592512-60
25.12.2017 : 17:12
ქ. თბილისი 0160, გ.შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **10-01173592163**

თარიღი: **25.12.2017**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გიგზავნით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე №3/2594-14) გადაწყვეტილების აღსრულებასა და ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრების, დიმიტრი მაისურაძის და სხვათა 2017 წლის 13 ოქტომბრის №19/01172864232-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2017 წლის 22 დეკემბრის №33 ბრძანების სახით.

დანართი: 17 (ჩვიდმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

იურიდიული საქალაქო სამსახური -
ადმინისტრაციული დავების განხილვისა
და სამართლებრივი აქტების მომზადების
განყოფილება - განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ჯუმბერ ყანდარელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება №33

„22" დეკემბერი 2017 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე №3/2594-14) გადაწყვეტილების აღსრულებისა და ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001"-ის წევრების: დიმიტრი მაისურაძის და სხვათა ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილების თაობაზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე №3/2594-14) გადაწყვეტილებით შპს „მოყვასი 2012"-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 19 ივნისის №1486 და 2014 წლის 30 ივნისის №1575 განკარგულებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის გამოცემა ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001"-ის 2014 წლის 7 აპრილს წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან მიმართებაში.

2014 წლის 7 აპრილს ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001"-ის წევრებმა დიმიტრი მაისურაძემ, მირიან ყალაბეგიშვილმა, გივი ბასილაძემ და სხვებმა ქალაქ თბილისის მერიაში წარმოადგინეს №12/14097319-17 ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. 2014 წლის 2 ივნისს კი, მათ მიერ დამატებით წარმოდგენილ იქნა №12/1415361-17 ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანების ბათილად ცნობისა და მისი მოქმედების შეჩერების მოთხოვნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წლის 13 ოქტომბერს ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001"-ის წევრებმა, დიმიტრი მაისურაძემ და სხვებმა, ასევე წარმოადგინეს №19/01172864232-01 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც მოითხოვეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანების ბათილად ცნობა და ამავე ბრძანების მოქმედების შეჩერება.

საქმის წარმოების განყოფილება №3

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 ოქტომბრის №1-2343 ბრძანებით შეჩერდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანების მოქმედება, ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრების 2017 წლის 13 ოქტომბრის №19/01172864232-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, 2017 წლის 2 ივნისს, 9 ივნისს, 25 ოქტომბერს, 30 ოქტომბერს და 4 დეკემბერს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომები, რომელზეც გამოცხადდნენ საჩივრის ავტორები: დიმიტრი მაისურაძე, ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის თავმჯდომარე ირაკლი გუჯაბიძე, მისი წარმომადგენელი მიხეილ ქებურია და ამავე ამხანაგობის წევრები: მირიან ყალაბეგიშვილი და ვლადიმერ წივწივაძე; მოწინააღმდეგე მხარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლები: სალომე არჩვაძე და გიორგი მძევაშვილი; დაინტერესებული მხარე - შპს „მოყვასი 2012“-ის დირექტორები: თედო სვანიძე და ვასილ სოხაძე, ასევე მათი წარმომადგენლები: უჩა ქირია, ვახტანგ ნაყოფია და გიორგი ხმალაძე; შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენლები: ირაკლი ნაცვლიშვილი, ანა შატაკიშვილი, გიორგი გოგაძე, თამაზ ღვანიძე და გიორგი ლეფსვერიძე

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.004.023) შპს „მოყვასი 2012“-ის დაკვეთით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რითაც ირღვევა საჩივრის ავტორთა კანონიერი უფლებები და ინტერესები, რადგან სამშენებლო ობიექტიდან, დაახლოებით 1 მეტრის დაშორებით, განთავსებულია გაზმარეგულირებელი პუნქტი და ასეთი დაშორებით მშენებლობის განხორციელება არღვევს ქვეყანაში მოქმედ უსაფრთხოების ნორმებს. ამასთან აღნიშნეს, რომ სადავო აქტით ირღვევა მათი უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება და გაზმარეგულირებელი პუნქტის დაზიანების შემთხვევაში, საფრთხე შეექმნება მათ საკუთრებაში არსებულ შენობას, ასევე, იქ მცხოვრებ მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მოწინააღმდეგე მხარის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ _ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტები სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

საჩივრის განხილვის ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოცხადებულმა დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები უსაფუძვლოა, ვინაიდან, არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არსებული გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადული ტიპის

საქმის წარმოების განყოფილება №3

გაზმარეგულირებელ პუნქტად გადაკეთებასთან დაკავშირებით, რომლის აღსრულებაც აღმოფხვრის საპროექტო ობიექტის სამშენებლო ნორმებთან და წესებთან შეუსაბამობას.

შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ შპს „მოყვასი 2012“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებული გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთება ტექნიკურად შესაძლებელია როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე, მშენებლობის განხორციელების შემდეგ და აღნიშნულის გადაკეთების ვალდებულება შპს „ტაზტრანსგაზ-თბილისს“ გააჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №2/9861-15). მათ ასევე აღნიშნეს, რომ გაზმარეგულირებელი პუნქტიდან სამშენებლო ნორმები და წესებით (სნიპ: 2.04.08-87) დადგენილი 10 - მეტრიანი მანძილის შეზღუდვა მოქმედებს უკვე არსებულ შენობებზე, შპს „მოყვასი 2012“-ის მიერ შენობის მშენებლობის შემდეგ გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულად გადაკეთება კი აღნიშნულ დარღვევას აღმოფხვრის, თუმცა მშენებლობის პროცესში გაზმარეგულირებელი პუნქტის აფეთქების საფრთხის გამოსარიცხად, საჭიროა მშენებლობის განხორციელება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დაინტერესებულ მხარეთა პოზიციების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 10 ოქტომბრის №2367 განკარგულებით დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში, შპს „მოყვასი 2012“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.14.004.023), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში, შპს „მოყვასი 2012“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.14.004.023) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მერიაში 2014 წლის 7 აპრილს ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრებმა: დიმიტრი მაისურაძემ, მიროან ყალაბეგიშვილმა, გივი ბასილაძემ და სხვებმა წარმოადგინეს №12/14097319-17

საქმის წარმოების განყოფილება №3

ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის თავმჯდომარის ირაკლი გუჯაბიძის მიერ 2014 წლის 2 ივნისს დამატებით წარმოდგენილ იქნა №12/1415361-17 ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 30 მაისის №1277 განკარგულებით წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეჩერდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 ბრძანების მოქმედება, ხოლო 2014 წლის 2 ივნისის №1278 განკარგულებით შეჩერდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანების მოქმედება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2014 წლის 19 ივნისის №1486 განკარგულებით, დაკმაყოფილდა აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივრები, ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 და 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებები, ბათილად ცნობის საფუძვლად კი მიეთითა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ დაუცველობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2014 წლის 30 ივნისის №1575 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2014 წლის 19 ივნისის №1486 განკარგულებაში გასწორდა ტექნიკური ხარვეზი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 და 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებები.“

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ შპს „მოყვასი 2012“-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ იქნა სარჩელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2014 წლის 19 ივნისის №1486 და 2014 წლის 30 ივნისის №1575 განკარგულებების ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე №3/2594-14) გადაწყვეტილებით შპს „მოყვასი 2012“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 19 ივნისის №1486 და 2014 წლის 30 ივნისის №1575 განკარგულებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის

საქმის წარმოების განყოფილება №3

შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის 2014 წლის 7 აპრილს წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან მიმართებით. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ გამოსაკვლევია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ ძალაში ყოფნის ფაქტი. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაავალა გამოეკვლია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 და 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებების გამოცემის დროისათვის, მოქმედებდა თუ არა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ თუ იგი ძალადაკარგული იყო და მოქმედებდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი უსაფრთხოების შესახებ“ და გაზმომარაგების სამშენებლო ნორმები და წესები (სნიპ: 2.04.08-87). სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მერიას სათანადაო სამართლებრივი შეფასება არ მიუცია შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 2012 წლის 26 ნოემბრის №14-07-02/1841 და 2014 წლის 25 აპრილის №01-09/787 წერილებისათვის. ასევე არ შეუფასებია ის გარემოება, გმპ-ს მდებარეობა რამდენად ზღუდავდა„მოყვასი 2012“-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებს მაშინ, როდესაც სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად, განსაზღვრული მინიმალური დაშორება ვრცელდება არსებულ შენობა-ნაგებობებზე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კი შენობა-ნაგებობა არ იდგა.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე №3/2594-14) გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით (საქმე №3ბ/347-16) ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინება (საქმე №3ბ/347-16) ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის მიერ გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის 2017 წლის 9 მარტის განჩინებით (საქმე №ბს-75-74(2კ-17) ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის საკასაციო საჩივარი აღნიშნულთან დაკავშირებით, ცნობილი იქნა დაუშვებლად. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე №3/2594-14) გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

თბილისის მერიის საქმის წარმოების განყოფილება №3

უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 16 აგვისტოს №1-1836 განკარგულებით დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №29–31–33–ში (ნაკვეთი: №04/023), შპს „მოყვასი –2012"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.14.14.004.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის 2017 წლის 20 ივნისის №10-01171711958 წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 და 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებების გამოცემის დროისათვის მოქმედებდა თუ არა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" თუ იგი ძალადაკარგული იყო და მოქმედებდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი უსაფრთხოების შესახებ" და გაზმომარაგების სამშენებლო ნორმები და წესები (სნიპ: 2.04.08-87).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 25 ივლისის №04-0117206170-10 (24.07.2017 №04/4460) წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს ეცნობა, რომ 2012 წლის 12 მაისს ამოქმედდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, რომლის 56-ე მუხლის თანახმად, „ტექნიკური ნორმის შემცველი, შესასრულებლად სავალდებულო ყველა აქტი მიღებული უნდა იქნეს ტექნიკური რეგლამენტის ფორმით", ხოლო 58-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად „ტექნიკური რეგლამენტი მიიღება მხოლოდ კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით". ამავე კოდექსის 103-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომელიც შინაარსობრივად ტექნიკური რეგლამენტია, ექვემდებარება ამ კოდექსის 57-ე მუხლით დადგენილი შესაბამისი ფორმით გამოცემას და ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში რეგისტრაციას, ხოლო 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა ტექნიკური რეგლამენტი, რომლებიც სათანადო წესით არ იქნება მიღებული, ძალადაკარგულად ჩაითვლება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის N1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" თავისი შინაარსით წარმოადგენდა ტექნიკური ნორმის

საქმის ნარმოების განყოფილება №3 6

შემცველ, შესასრულებლად სავალდებულო აქტს, იგი დაექვემდებარა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სათანადო წესით (ტექნიკური რეგლამენტის სახით) დამტკიცებას, ამავე კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, 2014 წლის 22 იანვარს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება ,,გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე".“

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 10 ოქტომბრის №2367 განკარგულება ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.14.004.023) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომლითაც კ2 განისაზღვრა ა- 5,5-ით.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 10 ოქტომბრის №2367 განკარგულება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე, ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის სარჩელის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2014 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №3/325-14) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ცნობილი იქნა ბათილად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2014 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №3/325-14) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გაჩნინებით (საქმე №3ბ/1412-14) გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის განჩინებით (საქმე №ბს-701-693 (კ-15) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის განჩინების (საქმე №3ბ/1412-14) გაუქმების თაობაზე, ცნობილი იქნა დაუშვებლად. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №3/325-14) შევიდა კანონიერ ძალაში.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე №3/325-14) აღსრულების მიზნით გამოიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 28 აპრილის №1-686 ბრძანება, რომლითაც შპს „მოყვასი 2012“-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ილიაჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.14.004.023), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის, ინტენსივობის

საქმის ნარმოების განყოფილება №3

კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის 2017 წლის 19 ივლისის №6 ოქმის, 2017 წლის 26 ივლისის №5 რეკომენდაციისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 26 ივლისის №27 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, მიეცა დადებითი რეკომენდაცი,ა ქ. თბილისში,ილია ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში, შპს ,,მოყვასი 2012“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტების საკითხს.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა ასევე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს №32 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, შპს ,,მოყვასი 2012“-ის კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის 5.5-მდე გადამეტების საკითხმა მიიღო დადებითი რეკომენდაცია.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 აგვისტოს №1-1836 ბრძანებით, ქ. თბილისში, ილიაჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.14.004.023) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომლითაც კ2 განისაზღვრა 5,5-ით.

საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე–10 მუხლის თანახმად, ”კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.”

ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა აღსასრულებლად. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების (საქმე №3/325-14) სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების კანონიერებას აფასებს სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში არსებითი მნიშვნელობის მქონეა იმის დადგენა, თუ რომელი ნორმატიული აქტის რეგულირების ქვეშ ექცევა განსახილველი

საქმის ნარმოების განყოფილება №3

სამართალურთიერთობა: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ თუ, „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტისა და გაზმომარაგების სამშენებლო ნორმების და წესების (სნიპ: 2.04.08-87) მოთხოვნები?

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 25 ივლისის №04-0117206170-10 (24.07.2017 №04/4460) წერილიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დადგენილად მიიჩნევს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ვინაიდან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის N1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ თავისი შინაარსით წარმოადგენდა ტექნიკური ნორმის შემცველ, შესასრულებლად სავალდებულო აქტს, იგი დაექვემდებარა სათანადო წესით (ტექნიკური რეგლამენტის სახით) დამტკიცებას. აღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა მის ამოქმედებამდე არსებული იდენტური სფეროს მომწესრიგებელი ყველა ნორმატიული აქტი, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“. შესაბამისად, გასაჩივრებული ბრძანებების მიმართ ვრცელდება „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტისა და გაზმომარაგების სამშენებლო ნორმების და წესების (სნიპ: 2.04.08-87) მოთხოვნები.

საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №29-31-33, შპს „მოყვასი 2012“-ის სამშენებლო ობიექტის მიმდებარედ განთავსებულია გაზმარეგულირებელი სადგური და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის III და IV კლასის ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის 2014 წლის 27 მაისის ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტის მომიჯნავედ მდებარე გაზმარეგულირებელ სადგურსა და საპროექტო ობიექტის კედელს შორის მინიმალური დაშორება შეადგენს ერთ მეტრს.

„გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „გაზის სისტემების ზოგადი მოთხოვნების რეგლამენტი ვრცელდება: გაზმარეგულირებელ

საქმის წარმოების განყოფილება №3

სადგურებზე, პუნქტებსა და დანადგარებზე.“ ამავე რეგლამენტის 30–ე მუხლის 21–ე პუნქტის მიხედვით, „მინიმალური მანძილი ცალკე მდგომი გაზმარეგულირებელი სადგურიდან, პუნქტიდან, კარადული დანადგარიდან შენობა-ნაგებობებამდე განისაზაღვრება შესაბამისი სტანდარტებით.“ შესაბამის სტანდარტებში კი იგულისხმება აღნიშნულ ტექნიკურ რეგლამენტთან ერთად მოქმედი გაზმომარაგების სამშენებლო ნორმები და წესები (სნიპ: 2.04.08-87), რომელიც ისეთივე სამართლებრივ რეგულაციას აწესებს გაზმარეგულირებელ პუნქტთან მიმართებით, როგორსაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“. კერძოდ, აღნიშნული სნიპ: 2.04.08-87-ის მეხუთე თავით დაწესებულია მანძილის შეზღუდვა შენობა-ნაგებობიდან გაზმარეგულირებელ პუნქტამდე და დადგენილია, რომ მათ შორის მინიმალური დაშორება უნდა შეადგენდეს 10 მეტრს, რაც მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულია. ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დადგენილად მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ბრძანებების გამოცემისას არ არის დაცული სამშენებლო ნორმები და წესების (სნიპ: 2.04.08-87) მოთხოვნები, ვინაიდან შენობა-ნაგებობის მშენებლობა შეთანხმებულია არსებული გაზმარეგულირებელი პუნქტიდან ერთ მეტრში.

აღნიშნული დარღვევის არსებობის პირობებში, წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ყურადღებას ამახვილებს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წარმომადგენელთა განმარტებებსა და შპს „მოყვასი 2012“-სა და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ შორის ხელშეშლის აღკვეთასთან დაკავშირებით მიმდინარე დავაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსზე. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განხილულ იქნა შპს „მოყვასი 2012“-ის სარჩელი მოპასუხე შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წინააღმდეგ, სადაც მოსარჩელე ითხოვდა დავალებოდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“, შპს „მოყვასი 2012“-თან შეთანხმებით, შპს „მოყვასი 2012“-ის ფინანსური ხარჯებით, ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ის მიმდებარედ განთავსებული გაზის მარეგულირებელი პუნქტის (გმპ) კარადული ტიპის გაზმარეგულირებელ პუნქტად გადაკეთება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №2/9861-15) შპს „მოყვასი 2012“-ის აღნიშნული სარჩელი, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე დაკმაყოფილდა და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ დაევალა შპს „მოყვასი 2012“-თან შეთანხმებით, შპს „მოყვასი 2012“-ის ფინანსური ხარჯებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 1 მარტის №001111116 ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ის მიმდებარედ განთავსებული გაზის მარეგულირებელი პუნქტი გადააკეთოს (გმპ) კარადული ტიპის გაზმარეგულირებელ პუნქტად. საქმეში

არსებული დოკუმენტაციით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №2/9861-15) შევიდა კანონიერ ძალაში და მისი აღსრულების მიზნით, 2017 წლის 9 ოქტომბერს ამავე სასამართლოს მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ასევე ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 2014 წლის 1 ივლისის №01-09-01/1204, 2014 წლის 17 ივლისის №01-09-01/1319 და 2014 წლის 3 ოქტომბრის №01-09-01/1709 წერილებზე, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალისტების მიერ დაფიქსირებულ პოზიციებზე, რომელთა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ არსებული გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთება ტექნიკურად შესაძლებელია საპროექტო შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, ამავე შენობის მშენებლობის დასრულების შემდეგ ან მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში, თუმცა, მათივე განმარტებით, მშენებლობის პროცესში გაზმარეგულირებელი პუნქტის უსაფრთხო ფუნქციონირება დამოკიდებულია დამკვეთის მიერ უსაფრთხოების ნორმების დაცვით მშენებლობის განხორციელებაზე.

მოცემულ საქმეზე, ვინაიდან გაზმარეგულირებელი პუნქტი წარმოადგენს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ საკუთრებას, ხოლო აღნიშნული კომპანიის სპეციალისტებს აქვთ სპეციალური განათლება მისი ფუნქციონირების წესებთან დაკავშირებით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ მათი განმარტება, კომპანიის ზემოაღნიშნული წერილები და თბილისის საქალაქო სასამართლოს აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება წარმოადგენს რელევანტურ მტკიცებულებებს საპროექტო შენობის მშენებლობის შემთხვევაში, გაზმარეგულირებელი პუნქტიდან მომავალი საფრთხის შესაფასებლად. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება, რომლის შესრულება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს მხარეთა ვალდებულებას, ვერ გახდება მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დაცვით განხორციელების გარანტი, ვინაიდან, იგი ავალდებულებს შპს „მოყვასი 2012“-ს გაზგამანწილებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთებას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია მშენებლობის დასრულების შემდეგაც, სასამართლო გადაწყვეტილება ვერ უზრუნველყოფს მშენებლობის პროცესში გაზმარეგულირებელი პუნქტიდან მომავალი საფრთხის, მათ შორის, გაზმარეგულირებელი პუნქტის აფეთქების ალბათობის გამორიცხვას.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ყურადღებას ამახვილებს სამშენებლო სამართლის სფეროში მოქმედ ძირითად პრინციპებზე და უთითებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მეორე მუხლის

„ა“ და „ბ“ პუნქტებზე, რომელთა მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების დადგენა ხორციელდება შემდეგი პრინციპებით: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება; უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო ინტერესებს განეკუთვნება: ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება. თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში კერძო ინტერესებს განეკუთვნება: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესები, დაკავშირებული მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ობიექტების) სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან და განვითარებასთან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში არსებობასთან. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს.“

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში ზემოთ მითითებულ ჩამონათვალთან ერთად, საჯარო ინტერესებს განეკუთვნება ობიექტების უსაფრთხო განვითარება. მშენებლობის ნებართვის გაცემა კი უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ დაირღვეს სამშენებლო საქმიანობის სფეროში მოქმედი ისეთი პრინციპი, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლის/ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა.

მოცემულ შემთხვევაში, მშენებლობის პროცესში გაზმარეგულირებელი პუნქტის უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფა ფაქტობრივად დამოკიდებულია დამკვეთის კეთილსინდისიერებაზე, კერძოდ, მის მიერ მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დაცვით განხორციელებაზე, თუმცა იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულის დაცვის უპირობო გარანტია არ არსებობს, არსებობს მინიმალური ალბათობა მაინც იმისა, რომ განსახორციელებელმა მშენებლობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ისეთ მნიშვნელოვან სიკეთეს, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ასევე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში სადავოდ გამხდარი აქტების მატერიალური და ფორმალური კანონიერება ფასდება საჩივრის ავტორის კანონით დაცულ ინტერესებზე ზეგავლენის კუთხით, რამდენადაც სწორედ ამ ჭრილში შეიძლება იგი წარმოადგენდეს დაინტერესებულ მხარეს. დაინტერესებულ მხარედ ყოფნა და საჩივრის ავტორის მიმართ დამდგარი პირდაპირი და უშუალო ზიანი კი წარმოადგენს

საჩივრის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ კრიტერიუმს, ვინაიდან, ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, განმარტებულია შემდეგნაირად: „ადმინისტრაციული საჩივარი - დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას." დაინტერესებული მხარე კი ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, არის „ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება." აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან მიმართებით კი, აღნიშნული კოდექსი ადგენს განსაკუთრებულ გარანტიებს არა მხოლოდ კანონიერ, არამედ კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტის არსებობის შემთხვევაშიც და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს."

აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, აღმჭურველი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, სადავოდ გამხდარი ბრძანებებით, შპს „მოყვასი 2012" აღიჭურვა კონკრეტული უფლებით ეწარმოებინა მშენებლობა, აღნიშნული უფლების მინიჭების თაობაზე გამოცემული და სადავოდ გამხდარი ბრძანებები წარმოადგენენ აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა მიმართ მოქმედებს დაცვის განსაკუთრებული გარანტიები. შესაბამისად, მათი ბათილად ცნობისათვის საჭიროა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებებისა და ინეტერესების ისეთი შელახვა, რომელიც იქნება აღმატებულად დაცვის ღირსი სიკეთე აღმჭურველი აქტით მინიჭებული უფლების მქონე პირის მიმართ მოსალოდნელ ზიანთან შედარებით.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორთა ინტერესი გამოიხატება მათ უფლებაში, ჰქონდეთ სიცოცხლის/ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს, რომლის დაცვასაც ემსახურება ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო და საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, როდესაც არსებობს აღნიშნული უფლების შელახვის ალბათობა, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ამ ალბათობის მინიმუმამდე დაყვანა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა შეისწავლოს გაზმარეგულირებელი პუნქტიდან მომავალი საფრთხე და საკითხთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას, შეაფასოს ამ საფრთხის თავიდან აცილების და გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთების შესაძლებლობები არა პერსპექტივაში, არამედ, მშენებლობის დაწყებამდე, ან მისი განხორციელების პროცესში. ამისათვის, არქიტექტურის სამსახურმა საქმეში უნდა ჩართოს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ და ის სპეციალისტები, ვისაც გააჩნიათ სპეციალური განათლება აღნიშნულ საკითხებზე. ასევე, საჭიროა საქმეში არსებობდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნა, რომელიც შეისწავლის მშენებლობის პროცესში არსებული გაზმარეგულირებელი პუნქტიდან მომავალ საფრთხეებს და დაადგენს, კონკრეტულად რა რისკები არსებობს გაზმარეგულირებელი პუნქტიდან ერთი მეტრის დაშორებით მშენებლობის მიმდინარეობისას. მითითებული საკითხების შესწავლისა და გარკვევის შემდეგ, თუ მშენებლობის განხორციელება შესაძლებელად იქნება მიჩნეული, ასევე თუ მშენებლობის დასრულებამდე უზრუნველყოფილი იქნება გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთება, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნული პირობების უტყუარად დადგენის შემთხვევაში შეიძლება მშენებლობის ნებართვის გაცემა 10-მეტრიანი მანძილის დაუცველად.

ამდენად, სადავო ბრძანებების გამოცემისას, ნებართვის გამცემ ორგანოს უნდა შეეფასებინა აღნიშნული გარემოება და მოეთხოვა დამკვეთისათვის გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთების ეტაპის, თუნდაც ორგანიზების პროექტში გათვალისწინება, რაც შეამცირებდა საფრთხეს და უზრუნველყოფდა მშენებლობის პროცესში სასამართლოს ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების აღსრულებასაც.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 10 ოქტომბრის №2367 განკარგულების ბათილად ცნობა, რომელსაც ეყრდნობა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 და 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებები, წარმოადგენს აღნიშნული ბრძანებების ბათილად ცნობის საფუძველს, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნება გაიზიარებული, ვინაიდან, როგორც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა შორის აღინიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 აგვისტოს №1-1836

საქმის წარმოების განყოფილება №3

ბრძანებით, ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.14.004.023) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომლითაც კ2 განისაზღვრა 5,5-ით, ისევე, როგორც ეს იყო განსაზღვრული ბათილად ცნობილი ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 10 ოქტომბრის №2367 განკარგულებით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201–ე მუხლის მე–3 ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო“ და იმ პირობებში, როდესაც საჩივრის განხილვის დროისათვის აღდგენილია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 და 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებების გამოცემის დროისათვის არსებული განაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტის მდგომარეობა, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო თვლის, რომ საჩივრის განხილვის დროისათვის, ქალაქ თბილისის მერის 2011 წლის 10 ოქტომბრის №2367 განკარგულების ბათილად ცნობა არ ახდენს არსებით გავლენას სადავო ბრძანებების კანონიერებაზე იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ვეღარ მოახდენს გავლენას მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგზე.

რაც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანებას, მისი კანონიერების შემოწმებისას, გარდა ზემოთ მითითებული გარემოებებისა, საქმის განმხილველი ადმნისტრაციული ორგანო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ იგი გამოცემულია იმ ბრძანებების კორექტირების მიზნით, რომელთა კანონიერების საკითხი ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილი არ იყო და მათთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე №3/2594-14) გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 19 ივნისის №1486 და 2014 წლის 30 ივნისის №1575 განკარგულებების ბათილად ცნობამ გამოიწვია ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 30 მაისის №1277 და 2014 წლის 2 ივნისის №1278 განკარგულებების მოქმედების აღდგენა, ვინაიდან, მათი ძალადაკარგულად გამოცხადება მოხდა სწორედ ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 19 ივნისის №1486 განკარგულებით (2014 წლის 30 ივნისის №1575 განკარგულება), რომლის ბათილად ცნობასთან ერთად გაუქმდა მის მიერ წარმოშობილი ყველა სამართლებრივი შედეგი. შესაბამისად, გამოდის, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანების გამოცემისას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 და 2014 წლის 4 მარტის №1148239

საქმის წარმოებანა №3

ბრძანებების მოქმედება იყო შეჩერებული, შეჩერებული ბრძანების კორექტირება კი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას იმდენად, რამდენადაც, აქტის მოქმედების შეჩერება ასევე გულისხმობს შეჩერების პერიოდში მასში რაიმე ცვლილების ან დამატების შეტანის შეუძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო თვლის, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, გარდა ზემოთმითითებული საფუძვლებისა, აღნიშნული გარემოებითაც გამოიხატება და სახეზეა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“.

საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლის შედეგად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561, 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანების გამოცემისას არ არის შესწავლილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. კერძოდ, ახალი წარმოების ფარგლებში გამოსაკვლევია, გაზმარეგულირებელი პუნქტის არსებობის პირობებში შესაძლებელია თუ არა მშენებლობის განხორციელება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანთა სიცხოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე, დასადგენია მშენებლობის პროცესში რამდენად არსებობს გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთების შესაძლებლობა, ხოლო არსებული საფრთხეების გამოსარიცხად, საჭიროა, მისი გადაკეთების სამუშაობის გათვალიწინება ორგანიზების პროექტში. ამდენად, მოცემული საჩივრის ფარგლებში, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო თვლის, რომ არსებობს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობისა და არქიტექტურის სამსახურისათვის, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 60[1] მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა და „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101

ქალაქ თბილისის მერიის საქმის წარმოების განყოფილება №3

დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრების: დიმიტრი მაისურაძის, მირიან ყალაბეგიშვილის, გივი ბასილაძის და სხვათა 2014 წლის 7 აპრილის №12/14097319-17, ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის თავმჯდომარის ირაკლი გუჯაბიძის 2014 წლის 2 ივნისის №12/1415361-17 და ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრების, დიმიტრი მაისურაძის და სხვათა 2017 წლის 13 ოქტომბრის №19/01172864232-01 ადმინისტრაციული საჩივრები.
2. ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561, 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანება.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 30 მაისის №1277 განკარგულება „ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე“, 2014 წლის 2 ივნისის №1278 განკარგულება „ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 ოქტომბრის №1-2343 ბრძანება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე“.
4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთების ორგანიზების პროექტში გათვალისწინების პირობით.
5. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინეტერსებული პირის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე



წერილის ნომერი: **60-01180052290**
თარიღი: **05.01.2018**

ადრესატი:
თეიმურაზ ბოლოთაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - სამსახურის უფროსი

ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 დეკემბრის (საქმე №3/2594-14) გადაწყვეტილებით შპს „მოყვასი 2012“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 19 ივნისის №1486 და 2014 წლის 30 ივნისის №1575 განკარგულებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის 2014 წლის 7 აპრილს წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან მიმართებით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წლის 13 ოქტომბერს ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრებმა, დიმიტრი მაისურაძემ და სხვებმა ასევე წარმოადგინეს №19/01172864232-01 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც მოითხოვეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანების ბათილად ცნობა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 დეკემბრის #33 ბრძანებით დაკმაყოფილდა ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრების: დიმიტრი მაისურაძის, მირიან ყალაბეგიშვილის, გივი ბასილაძის და სხვათა 2014 წლის 7 აპრილის №12/14097319-17, ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის თავმჯდომარის ირაკლი გუჯაბიძის 2014 წლის 2 ივნისის №12/1415361-17 და ბმა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის წევრების, დიმიტრი მაისურაძის და სხვათა 2017 წლის 13 ოქტომბრის №19/01172864232-01 ადმინისტრაციული საჩივრები, ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ოქტომბრის №942561, 2014 წლის 4 მარტის №1148239 ბრძანებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 სექტემბრის №3560522 ბრძანება. ამასთან, ამავე ბრძანებით, არქიტექტურის სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთების ორგანიზების პროექტში გათვალისწინების პირობით.

საქმის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ განმარტა, რომ საპროექტო შენობიდან ერთი მეტრის დაშორებით მდებარე გაზმარეგულირებელ პუნქტთან მიმართებით არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება, რომლის შესრულება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს მხარეთა ვალდებულებას, ვერ გახდება მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დაცვით განხორციელების გარანტი, ვინაიდან, იგი

ავალდებულებს შპს „მოყვასი 2012“-ს გაზგამანწილებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთებას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია მშენებლობის დასრულების შემდეგაც, სასამართლო გადაწყვეტილება ვერ უზრუნველყოფს მშენებლობის პროცესში გაზმარეგულირებელი პუნქტიდან მომავალი საფრთხის, მათ შორის, გაზმარეგულირებელი პუნქტის აფეთქების ალბათობის გამორიცხვას.

ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა შეისწავლოს გამზარეგულირებელი პუნქტიდან მომავალი საფრთხე და საკითხთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას, შეაფასოს ამ საფრთხის თავიდან აცილების და გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადულ ტიპად გადაკეთების შესაძლებლობები არა პერსპექტივაში, არამედ, მშენებლობის დაწყებამდე ან მისი განხორციელების პროცესში. ამისათვის, არქიტექტურის სამსახურმა საქმეში უნდა ჩართოს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ და ის სპეციალისტები, ვისაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა აღნიშნულ საკითხებზე. ასევე, საჭიროა საქმეში არსებობდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის დასკვნა, რომელიც შეისწავლის მშენებლობის პროცესში არსებული გაზმარეგულირებელი პუნქტიდან მომავალ საფრთხეებს და დაადგენს, კონკრეტულად რა რისკები არსებობს გაზმარეგულირებელი პუნქტიდან ერთ მეტრში მშენებლობის მიმდინარეობისას.

ვინაიდან, საკითხის განხილვა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 დეკემბრის #33 ბრძანების აღსრულება არ შედის სამსახურის სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების კომპეტენციაში, გთხოვთ, საკითხი განსახილველად გადასცეთ ამავე სამსახურის III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილებებს.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - სასამართლოსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილება - იურისტი

სალომე არჩვაძე